ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032228413-03
თარიღი: 11.10.2022 11:35
ვადა: 11.11.2022

## განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-0122284133 განცხადების თარიღი: 11.10.2022
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

---

## განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

---

## მოთხოვნის ტექსტი

საკრებულოს დადგენილებათა პროექტები

---

## დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032228413-03
11.10.2022 : 11:35
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-0122284133**
თარიღი: **11/10/2022**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტებს:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

ბ) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, $134^1$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

გ) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

დ) „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე“;

ე) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

ვ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

ზ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის და $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ამასთან, წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნული პროექტების მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 სექტემბრის №22.1529.1653, 5 ოქტომბრის №22.1551.1674 და 10 ოქტომბრის №22.1570.1704 განკარგულებებს.

დანართი: 76 ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მთავრობა

**განკარგულება - N 22.1529.1653**
**30 / სექტემბერი / 2022 წ.**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი დადგენილებების პროექტების მოწონების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის და $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტები წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი | კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მთავრობა

**განკარგულება - N 22.1551.1674**
**5 / ოქტომბერი / 2022 წ.**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი დადგენილებების პროექტების მოწონების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.გ“ და „ე.გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, $134^1$ მუხლით, $135$-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, $135$-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 3-ის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტები წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი | კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მთავრობა

**განკარგულება - N 22.1570.1704**
**10 / ოქტომბერი / 2022 წ.**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი დადგენილებების პროექტების მოწონების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების და 75-ე მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს:

ა) „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტები წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

პროექტი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# დადგენილება №-----

**2022 წლის ------ -------------------- ქ. თბილისი**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 28/01/2020; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016675) მე-2 მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში და დებულების:

ა) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს, „ტ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ“ ქვეპუნქტი:

„უ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას კოდექსის $209^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას, თუ სამართალდამრღვევი ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, სამართალდამრღვევს ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე გამოუწეროს საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ან ელექტრონული ფორმით შეავსოს საჯარიმო ქვითარი, რომელიც დადგენილი წესით გაეგზავნება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს. ამ შემთხვევაში საქარე მინაზე განთავსების მიზნით საჯარიმო ქვითარი არ ამოიბეჭდება.“;

ბ) მე-8 მუხლის მე-17 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალებების მიღება; სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალების მის მესაკუთრისთვის/მფლობელისთვის დაბრუნება თბილისის მუნიციპალიტეტის

წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირებისა და სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის ან მინდობილობის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისთანავე და ამ დოკუმენტების შენახვა;

გ) თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის გადახდაზე კონტროლი და ამ ინფორმაციის ასახვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის ელექტრონულ სისტემაში;“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 15 ოქტომბრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის**

**განმარტებითი ბარათი**

**ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

საქართველოს პარლამენტმა 2022 წლის 6 სექტემბრის N1719-IXმს-Xმპ საქართველოს კანონით ცვლილებები შეიტანა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომელიც 15 ოქტომბრიდან ამოქმედდება. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, 242-ე მუხლის მე-4 ნაწილის ახალი რედაქციის შესაბამისად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას კოდექსის $209^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალდამრღვევს ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. თუ სამართალდამრღვევი ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, გამოიწერება საჯარიმო ქვითარი (შედგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი) ან ელექტრონული ფორმით ივსება საჯარიმო ქვითარი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით უნდა გაეგზავნოს სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია საჯარიმო ქვითარი ამოიბეჭდოს და სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე განთავსდეს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს ემატება „უ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას, თუ სამართალდამრღვევი ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, სააგენტოს უფლება აქვს სამართალდამრღვევს ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე გამოუწეროს საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ან ელექტრონული ფორმით შეავსოს საჯარიმო ქვითარი, რომელიც დადგენილი წესით გაეგზავნება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს და ამ შემთხვევაში საჯარიმო ქვითარი არ ამოიბეჭდება სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე განთავსების მიზნით.

ამასთან, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, კოდექსის 125-ე მუხლის შენიშვნის პირველი-$1^2$ ნაწილების, $125^2$ მუხლის შენიშვნის მე-3 ნაწილის, $135^3$ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის შესაბამისად ტერმინი სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები შეიცვალა ტერმინით ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასური, რის გამოც საჭიროა შესაბამისი ცვლილებების შეტანა სააგენტოს სპეციალური დაცული სადგომების მართვის სამსახურის უფლებამოსილებებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

**ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გათვალისწინება.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ე) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №-----

**2022 წლის ---- ----------**

**ქ. თბილისი**

**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, $134^1$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, $134^1$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში (სმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 19/05/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016725) შევიდეს ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული წესის:

ა) მე-3 მუხლის:

ა.ა) მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესის დანართი 1 დამტკიცდეს თანდართული რედაქციით;

ა.ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება მისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან). გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებითა და $125^2$ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, $5^1$ და მე-6 ნაწილებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, $135^2$ მუხლით, $135^3$ და $135^4$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ჯარიმის ორმაგი ოდენობით, $125^2$ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 200 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე, $135^1$ და $135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 500 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773239

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773552

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილების საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773553

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-15 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773556

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773557

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $125^2$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773250

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773255

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე, $135^1$ და $135^5$ მუხლების საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773259

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $135^2$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773238

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $135^3$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773240

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $135^4$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773241

საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნომერი.“;

ა.გ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენელი თანამშრომელი და ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი. თუ არიან მოწმე ან სხვა მონაწილე, საჯარიმო ქვითარზე – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე შეიძლება ხელი მოაწერონ ამ პირებმაც. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას კოდექსის $209^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას, თუ სამართალდამრღვევი ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, თანამშრომელი უფლებამოსილია სამართალდამრღვევს ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე გამოუწეროს საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც დადგენილი წესით გაეგზავნება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს. ამ შემთხვევაში თანამშრომელი საჯარიმო ქვითარს არ ამობეჭდავს სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე განთავსების მიზნით.“;

ბ) მე-4 მუხლის:

ბ.ა) მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის დანართი 2 დამტკიცდეს თანდართული რედაქციით;

ბ.ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარზე დატანილია შემდეგი ტექსტი:

„ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები:

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ. გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

ელექტრონული საჯარიმო ქვითრით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი.

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებითა და $125^2$ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, $5^1$ და მე-6 ნაწილებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, $135^2$ მუხლით, $135^3$ და $135^4$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ჯარიმის ორმაგი ოდენობით, $125^2$ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 200 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე, $135^1$ და $135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 500 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“;

ზ.გ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ხელს აწერს მისი შემდგენელი და ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი. თუ არიან მოწმე ან სხვა მონაწილე, ელექტრონულ საჯარიმო ქვითარზე შეიძლება ხელი მოაწერონ ამ პირებმაც. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას თანამშრომელი უფლებამოსილია იმოქმედოს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აგრეთვე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას კოდექსის $209^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას, თუ სამართალდამრღვევი ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, თანამშრომელი უფლებამოსილია სამართალდამრღვევს ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე ელექტრონული ფორმით შეუვსოს საჯარიმო ქვითარი, რომელიც დადგენილი წესით გაეგზავნება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს. ამ შემთხვევაში თანამშრომელი საჯარიმო ქვითარს არ ამობეჭდავს სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე განთავსების მიზნით.“;

გ) მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესის დანართი 10 დამტკიცდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 15 ოქტომბრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე                                                          გიორგი ტყემალაძე

**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, $134^1$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის**

**განმარტებითი ბარათი**

**ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

საქართველოს პარლამენტმა 2022 წლის 6 სექტემბრის N1719-IXმს-Xმპ საქართველოს კანონით ცვლილებები შეიტანა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომელიც 15 ოქტომბრიდან ამოქმედდება. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით კოდექსის 125-ე მუხლის: მე-8 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ჯარიმის ოდენობა განისაზღვრა 50 ლარი ნაცვლად 10 ლარისა; მე-12 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის დარიცხული საურავის ოდენობა - 200 ლარი ნაცვლად 100 ლარისა; მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ჯარიმის ოდენობა - 100 ლარი ნაცვლად 50 ლარისა, ხოლო დარიცხული საურავის ოდენობა - 200 ლარი ნაცვლად 100 ლარისა. რაც შეეხება $125^2$ მუხლს: პირველი და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის ჯარიმის ოდენობა განისაზღვრა 50 ლარი ნაცვლად 10 ლარისა; მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის - 100 ლარი ნაცვლად 50 ლარისა, ხოლო დარიცხული საურავის ოდენობა - 200 ლარი ნაცვლად 100 ლარისა; მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის - 200 ლარი ნაცვლად 50 ლარისა, ხოლო დარიცხული საურავის ოდენობა - 200 ლარი ნაცვლად 100 ლარისა. ამასთან, $125^2$ მუხლს დაემატა $5^1$ ნაწილი, რომლის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების ადგილზე მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული სახეობის სატრანსპორტო საშუალების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების დგომა გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო ამ შემთხვევაში საურავი განისაზღვრა 200 ლარის ოდენობით.

ამასთან, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით, 242-ე მუხლის მე-4 ნაწილის ახალი რედაქციის შესაბამისად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას კოდექსის $209^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალდამრღვევს ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. თუ სამართალდამრღვევი ან

სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, გამოიწერება საჯარიმო ქვითარი (შედგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი) ან ელექტრონული ფორმით ივსება საჯარიმო ქვითარი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით უნდა გაეგზავნოს სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია საჯარიმო ქვითარი ამოიბეჭდოს და სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე განთავსდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო გახდა შესაბამისი ცვლილებების შეტანა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, $134^1$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში, რის გამოც მომზადდა წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ამასთან, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებული მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუში, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (სამინისტროს პასუხის ქსეროასლი ერთვის პროექტს).

**ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გათვალისწინება.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ე) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

## ნაწილი I. საჯარიმო ქვითარი

### ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № მს 000000

1. ____________________ 2. ____________________

შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) — შედგენის ადგილი

3. ____________________

შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

4. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მონაცემები: ____________________

ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება

____________________

პირადი ნომერი, სახელი და გვარი, მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა);

____________________

იურიდიული პირის შემთხვევაში – სამართლებრივი ფორმა და სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი: ____________________,

დრო: ________, არსი: ____________________

____________________

6. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ____________________

7. ჯარიმის ოდენობა: ________ ლარი

8. ____________________

____________________

მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადი ნომერი, სახელი და გვარი, მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა)

9. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება: ____________________

(ახსნა-განმარტების არსებობისას მიეთითება მისი

____________________

რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება)

10. მიმღები მოლარე: ____________ ____________________

ხელმოწერა — საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი

ოქმის შემდგენელი: ____________ მოწმე ან სხვა მონაწილე: ____________

ხელმოწერა — ხელმოწერა და სტატუსი

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი: ____________________

ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა

## ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ძირი

### № მს 000000

ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში.

1. ____________________

გადამხდელის სახელი და გვარი

2. ____________________

გადამხდელის მისამართი

3. ____________ ლარი

ჯარიმის ოდენობა

4. ____________________

ასკ-ის მუხლი, ნაწილი, ქვეპუნქტი

5. ____________________

სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი

6. ____________________

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი

7. მიმღები მოლარე: ____________

ხელმოწერა

8. შემომტანი: ____________

ხელმოწერა

ბ.ა.

თარიღი: ____________

რიცხვი, თვე და წელი

საჯარიმო ქვითრის ძირი ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.

# საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მე-2 გვერდი

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის მიხედვით აქვს შემდეგი უფლებები: გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება მისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან). გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებითა და $125^2$ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, $5^1$ და მე-6 ნაწილებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, $135^2$ მუხლით, $135^3$ და $135^4$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ჯარიმის ორმაგი ოდენობით, $125^2$ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 200 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე, $135^1$ და $135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 500 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773239

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773552

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილების საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773553

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-15 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773556

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773557

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $125^2$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773250

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773255

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე, $135^1$ და $135^5$ მუხლების საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773259

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $135^2$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773238

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $135^3$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773240

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $135^4$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773241

საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნომერი.

ცხელი ხაზი: (+995 32) 2 378 557 და 1398

| | |
|---|---|
| დამკვეთი: | დამამზადებელი: |
| მისამართი: | სემეკ-ს რეგისტრაციის № |

*წესის დანართი 2*

## ელექტრონული საჯარიმო ქვითარი № პჯ000000

| |
|---|
| 1. შედგენის თარიღი |
| 2. შემდგენელი |
| 3. სამართალდამრღვევის პირადი №:<br>სახელი და გვარი:<br>სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში):<br>მისამართი:<br>და სხვა |
| 4. სამართალდარღვევის ჩადენის<br>ადგილი:<br>დრო:<br>არსი: |
| 5. პასუხისმგებლობა აღნიშნული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის |
| 6. ჯარიმის ოდენობა ----------- ლარი |
| 7. საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი |
| 8. მოწმე ან სხვა მონაწილე<br>სტატუსი/ხელმოწერა |
| 9. სამართალდამრღვევის ხელმოწერა/<br>უარი ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე |
| 10. შემდგენლის ხელმოწერა |
| 11. შენიშვნა |

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები:

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ. გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

ელექტრონული საჯარიმო ქვითრით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი.

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებითა და $125^{2}$ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, $5^{1}$ და მე-6 ნაწილებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, $135^{2}$ მუხლით, $135^{3}$ და $135^{4}$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ჯარიმის ორმაგი ოდენობით, $125^{2}$ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის 200 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე, $135^{1}$ და $135^{5}$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის 500 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*წესის დანართი 10*

## ელექტრონული საჯარიმო ქვითარი № ვჯ000000

| |
|---|
| 1. შედგენის თარიღი |
| 2. შემდგენელი |
| 3. სამართალდამრღვევის პირადი №:<br>სახელი და გვარი:<br>სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში):<br>მისამართი:<br>და სხვა |
| 4. სამართალდარღვევის ჩადენის<br>ადგილი:<br>დრო:<br>არსი: |
| 5. პასუხისმგებლობა აღნიშნული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის |
| 6. ჯარიმის ოდენობა ----------- ლარი |
| 7. საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი |
| 8. მოწმე ან სხვა მონაწილე<br>სტატუსი/ხელმოწერა |
| 9. სამართალდამრღვევის ხელმოწერა/<br>უარი ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე |
| 10. შემდგენლის ხელმოწერა |
| 11. შენიშვნა |

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები:

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ. გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

ელექტრონული საჯარიმო ქვითრით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი.

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებითა და $125^2$ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, $5^1$ და მე-6 ნაწილებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, $135^2$ მუხლით, $135^3$ და $135^4$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ჯარიმის ორმაგი ოდენობით, $125^2$ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის 200 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე, $135^1$ და $135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის 500 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია

tbilisi.gov.ge **ცხელი ხაზი - (+995 32) 2722222**

ნომერი: 04-01222722937-16
თარიღი: 29.09.2022 17:28
ვადა: 31.10.2022

## განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
მისამართი:
განცხადების N: 1189460 განცხადების თარიღი: 29.09.2022
ხელმომწერი: თანამდებობა:

## განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
პასუხი

## მოთხოვნის ტექსტი

დოკუმენტის ენობრივი სისწორის შესახებ

## დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
№ 04-01222722937-16
29.09.2022 : 17:28
ქ. თბილისი, ჟ.შარტავას ქ. N7

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 8 22 0001189460

29/09/2022

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსს,
ბატონ ვიქტორ წილოსანს

ბატონო ვიქტორ,
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში თქვენი N16-01222712409 (28.09.2022) წერილით (სამინისტროში რეგისტრაციის N1179362; 28.09.2022) ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შესათანხმებლად განმეორებით შემოვიდა „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის“ ფორმის ნიმუში.

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განხილულ იქნა ზემოაღნიშნული დოკუმენტის ფორმის ნიმუში და მის ენობრივ სისწორესთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

დანართი: 2 ფურცელი
პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
მიცკევიჩი ნუნუ

**ნაწილი I.** **საჯარიმო ქვითარი**

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № მს000000**

1. ______________________ 2. ______________________

შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) შედგენის ადგილი

3. ________________________________________________

შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

4. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მონაცემები: ________________

ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება

________________________________________________

პირადი ნომერი, სახელი და გვარი, მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა);

________________________________________________

იურიდიული პირის შემთხვევაში – სამართლებრივი ფორმა და სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი: ________________,

დრო: ________, არსი: ________________________________

________________________________________________

6. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ________________

7. ჯარიმის ოდენობა: ____________ ლარი

8. ________________________________________________

________________________________________________

მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადი ნომერი, სახელი და გვარი, მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა)

9. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება: ________________

(ახსნა-განმარტების არსებობისას მიეთითება მისი

________________________________________________

რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება)

10. მიმღები მოლარე: ______________ ______________________

ხელმოწერა საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი

ოქმის შემდგენელი: ______________ მოწმე ან სხვა მონაწილე: ______________

ხელმოწერა ხელმოწერა და სტატუსი

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი: ________________________________

ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა

**ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა**
**№ მს000000**

ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში.

1. ______________________

გადამხდელის სახელი და გვარი

2. ______________________

გადამხდელის მისამართი

3. ____________________ ლარი

ჯარიმის ოდენობა

4. ______________________

ასკ-ის მუხლი, ნაწილი, ქვეპუნქტი

5. ______________________

სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი

6. ______________________

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი

7. მიმღები მოლარე: ______________

ხელმოწერა

8. შემომტანი: ______________

ხელმოწერა

ბ.ა.

თარიღი: ______________

რიცხვი, თვე და წელი

საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.

**საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მე-2 გვერდი**

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის მიხედვით აქვს შემდეგი უფლებები: გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება მისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან). გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებითა და $125^2$ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, $5^1$ და მე-6 ნაწილებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, $135^2$ მუხლით, $135^3$ და $135^4$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ჯარიმის ორმაგი ოდენობით, $125^2$ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 200 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე, $135^1$ და $135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 500 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773239

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773552

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილების საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773553

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-15 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773556

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773557

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $125^2$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773250

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773255

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე, $135^1$ და $135^5$ მუხლების საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773259

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $135^2$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773238

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $135^3$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773240

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $135^4$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773241

საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნომერი.

ცხელი ხაზი: (+995 32) 2 378 557 და 1398

| | |
|---|---|
| დამკვეთი: | დამამზადებელი: |
| მისამართი: | სემგს-ს რეგისტრაციის № |

პროექტი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება

**2022 წლის ---- ---------------- ქ. თბილისი**

**„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 300330000.35.101.016081) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის მე-17 მუხლს, პირველი პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$ და $1^2$ პუნქტები:

„$1^1$. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა", „თ", „ი", „ლ", „მ$^2$", „ნ", „ო"-„უ", „ქ", „ყ", „ჩ", „ც", „ძ", „წ", „ჰ$^1$", „ჰ$^3$", „ჰ$^5$" ქვეპუნქტებით, 22-ე, 24-ე, 26-ე მუხლებით გათვალისწინებული ნებართვის

მფლობელის ვალდებულებები ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრულ, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის განმახორციელებელ პირზე და ეს ვალდებულებები ძალაშია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის ($M_3$ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მფლობელის გამოვლენამდე.

$1^2$. ამ მუხლის $1^1$ პუნქტით გათვალისწინებული ნებართვის მფლობელის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.“.

**მუხლი 2**

ამ დადგენილების პირველი მუხლით დამატებული წესის მე-17 მუხლის $1^1$ პუნქტით გათვალისწინებული ამ მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებით დამტკიცებული მარშრუტებით;

ბ) „ც“ ქვეპუნქტის აღსრულება გავრცელდეს წინამდებარე დადგენილების ამოქმედების შემდგომ.

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულის დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებით დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტები და ამ გადაყვანებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" (ს/ნ 202886788), რომელიც ამასთან ახორციელებს მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანას. 2021 წლის პირველ ივლისს იმავე კომპანიასა და სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს შორის დადებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა რეგულარული გადაყვანის შესახებ საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების" 1.2 პუნქტის მიხედვით ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხარეთა მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) მგზავრთა გადაყვანა, ასევე მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით მგზავრთა გადაყვანის უზრუნველყოფა. მომსახურება უნდა განხორციელდეს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემით დადგენილი წესის შესაბამისად, იმ პირობით და გარანტიებით, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" ხელშეკრულების მოქმედების ვადით დააკმაყოფილებს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესს".

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია მასზე გავრცელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის

მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის მე-17, 22-ე, 24-ე და 26-ე მუხლების გარკვეული მოთხოვნები, რომლებიც ნებართვის მფლობელს ავალდებულებს დაიცვას შესაბამისი სანებართვო პირობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

პროექტის მიმართ მოსაზრებები აქვს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას", რომლის 2022 წლის 30 სექტემბრის №01/7473 წერილში აღნიშნულია, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის N18.1047.1491 განკარგულების საფუძველზე გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს", შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და შპს „ალმას" შორის დადებული 2019 წლის 06 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ალმას" გადაეცა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი და სასყიდლიანი უფლება 2041 წლის 7 აგვისტომდე. შესაბამისად, კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას შეასრულოს დადგენილების ცვლილების პროექტით გათვალისწინებული მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ც" ქვეპუნქტში მითითებული ვალდებულება; შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და დასაქმებულ მძღოლებს შორის არსებული შრომითი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ფოტოსურათის საჯარო სივრცეში განთავსების შესაძლებლობას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, მე-6, მე-9 და მე-10 მუხლების თანახმად, ფოტოსურათის საჯაროდ ავტობუსში განთავსება საჭიროებს პირის წერილობით თანხმობას, შესაბამისად, ცვლილების პროექტით გათვალისწინებული მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტის შესრულება არ არის დამოკიდებული კომპანიის ნებაზე."

აღსანიშნავია, რომ კომპანიის ეს მოსაზრებები ვერ იქნება გათვალისწინებული შემდეგ გარემოებათა გამო: წარმოდგენილი პროექტის მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ ამ დადგენილების პირველი მუხლით დამატებული წესის მე-17 მუხლის $1^1$ პუნქტით გათვალისწინებული „ც" ქვეპუნქტის (ნებართვის მფლობელი ვალდებულია ავტობუსზე რეკლამა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განათავსოს მხოლოდ ნებართვის გამცემის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში) აღსრულება გავრცელდება წინამდებარე დადგენილების ამოქმედების შემდგომ, შესაბამისად ცალსახაა, რომ ეს ქვეპუნქტი ვერ გავრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებამდე არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე. რაც შეეხება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" მეორე მოსაზრებას, აღსანიშნავია, რომ მძღოლის მონაცემების განთავსება გამომდინარეობს მგზავრის ინტერესებიდან და ემსახურება მის უსაფრთხოებას და ინფორმაციულობას. შესაბამისად სახეზეა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე" და „ზ" ქვეპუნქტების შესაბამისად მონაცემთა დამუშავება.

**ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:**

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) პროექტის ავტორი:**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ე) პროექტის წარმდგენი:**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# დადგენილება №

2022 წლის --- ----------------- ქ. თბილისი

**„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კოდექსის $240^1$ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1.**

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016353) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“;

ბ) მე-4 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $4^1$ მუხლი:

**„მუხლი $4^1$**

1. განისაზღვროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირების საფასური:

ა) მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – 150 ლარის ოდენობით;
ბ) $M_2$ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში - 500 ლარის ოდენობით;
გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულის გარდა სხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალების (მათ შორის მისაბმელის) შემთხვევაში - 800 ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის საფასური დღეში:
ა) მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – 20 ლარის ოდენობით;
ბ) $M_2$ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში - 60 ლარის ოდენობით;
გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულის გარდა სხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალების (მათ შორის მისაბმელის) შემთხვევაში - 100 ლარის ოდენობით.“.

2. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის:
ა) მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $125^2$ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ტროტუარზე ჩადენის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ამის შესახებ შესაბამისი მინიშნება.”;

ბ) მე-14 მუხლის:
ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. პარკირების ოპერატორი ვალდებულია სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირებისა და სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის საფასური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს/მფლობელს გადაახდევინოს თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი ოდენობით.“;
ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისთვის/მფლობელისთვის დაბრუნება შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირებისა და სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის ან მინდობილობის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისთანავე.“.

**მუხლი 2.**
ეს დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 15 ოქტომბრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

**„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის**

**განმარტებითი ბარათი**

**ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

საქართველოს პარლამენტმა 2022 წლის 6 სექტემბრის N1719-IXმს-Xმპ საქართველოს კანონით ცვლილებები შეიტანა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომელიც 15 ოქტომბრიდან ამოქმედდება. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, კოდექსის 125-ე მუხლის შენიშვნის პირველი-$1^2$ ნაწილების, $125^2$ მუხლის შენიშვნის მე-3 ნაწილის, $135^3$ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის შესაბამისად ტერმინი სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები იცვლება ტერმინით ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასური, ხოლო $240^1$ მუხლს ემატება მე-4 ნაწილი შემდეგი რედაქციით: „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია განსაზღვროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მუნიციპალიტეტის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ სფეროში ჩადენის შემთხვევაში სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირების საფასური და სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასური მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში – არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის საფასური მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – დღეში არაუმეტეს 20 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში – დღეში არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით.“. ამავე დროს, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, კოდექსის $125^2$ მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი, სატრანსპორტო საშუალების პარკირების სხვა წესის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით ნაცვლად 10 ლარისა, ხოლო ამავე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით „ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ტროტუარზე ჩადენის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ამის შესახებ შესაბამისი მინიშნება.“.

ყოველივე გამომდინარე საჭირო გახდა შესაბამისი ცვლილებების შეტანა „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში, დადგენილების სათაურის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება და დადგენილებაში ახალი $4^1$ მუხლის დამატება, რომლის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე

ტრანსპორტირების საფასურები განისაზღვრება შემდეგი ოდენობებით: მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – 150 ლარი; $M_2$ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში - 500 ლარი; ყველა სხვა დანარჩენი სახეობის სატრანსპორტო საშუალების (რომელიც მოიცავს $N_1$, $N_2$, $N_3$, $O_1$, $O_2$, $O_3$ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებს, აგრეთვე მისაბმელებს) შემთხვევაში - 800 ლარი. რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის საფასურს დღეში, ისინი განისაზღვრება შემდეგი ოდენობებით: მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – 20 ლარი; $M_2$ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში - 60 ლარი; ყველა სხვა დანარჩენი სახეობის სატრანსპორტო საშუალების (რომელიც მოიცავს $N_1$, $N_2$, $N_3$, $O_1$, $O_2$, $O_3$ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებს, აგრეთვე მისაბმელებს) შემთხვევაში - 100 ლარი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დადგენილებით დამტკიცებულ წესში საჭიროა შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რის გამოც მომზადდა წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გათვალისწინება.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ე) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>პროექტი</u>

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №-----

**2022 წლის ---- ------------------------**

**ქ. თბილისი**

**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 03/04/2018, სარეგისტრაციო კოდი: 020080000.35.101.016500) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების:

**ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“;

**ბ) პირველი და მე-2 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
**„მუხლი 1.**
მიენიჭოს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ (ს/კ 202886788):
ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების უფლებამოსილება;
ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერის უფლებამოსილება.
**მუხლი 2.**
დამტკიცდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის თანდართული წესი.“.

2. დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის:

**ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესი.“;

**ბ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„1. ეს წესი, მოქმედი სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით, განსაზღვრავს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) (შემდგომში – სამართალსუბიექტი)

მიერ შესავსები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125² მუხლით და 135³ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13, მე-15 ნაწილებით, 125² მუხლით და 135³ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის სამართლებრივ მექანიზმებს.“;

**გ) 3¹ მუხლის:**

**გ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125² მუხლით და 135³ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რა დროსაც თანამშრომელი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევს ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას), მიუხედავად იმისა, დამრღვევი ეთანხმება თუ არა მის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ზომას. სამართალდარღვევის ფაქტზე სამართალდამრღვევის არყოფნის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს.“;

**გ.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. თანამშრომელი საჯარიმო ქვითარს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ავსებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით,125² მუხლით და 135³ მუხლის მე-2 ნაწილით. თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსებმა თანამშრომელმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის 2¹ ნაწილის შესაბამისად, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდეგ თანამშრომელი ავსებს საჯარიმო ქვითარს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს. აღნიშნული პროცესი თანამშრომელმა შეიძლება დააფიქსიროს ელექტრონული მოწყობილობით და ამის თაობაზე ვალდებულია აცნობოს სამართალდამრღვევს.“;

**გ.გ) მე-4 პუნქტით დამტკიცებული დანართი 5 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;**

**გ.დ) მე-7 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ი) სახაზინო კოდი (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მიეთითება სახაზინო კოდი 300773239; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მიეთითება სახაზინო კოდი 300773552; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე

მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მიეთითება სახაზინო კოდი 300773553; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მიეთითება სახაზინო კოდი 300773556; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მიეთითება სახაზინო კოდი 300773557; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $125^2$ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მიეთითება სახაზინო კოდი 300773250; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მიეთითება სახაზინო კოდი 300773240);“;

**გ.ე) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„10. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მეორე გვერდზე დატანილია შემდეგი ტექსტი:

„ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის მიხედვით აქვს შემდეგი უფლებები და მოვალეობები: გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება მისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან). გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს (მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2).

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებითა და $125^2$ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, $5^1$ და მე-6 ნაწილებით, $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ჯარიმის ორმაგი ოდენობით, $125^2$ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 200 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ამსახველი ფოტომასალის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.ttc.com.ge.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773239.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773552.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილების საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773553.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-15 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773556
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773557
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $125^2$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773250.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773240.
საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნომერი.

ცხელი ხაზი: (+995 32) 2 93-44-44

დამკვეთი: დამამზადებელი:
მისამართი: სემგს-ს რეგისტრაციის N“;

**დ) $3^2$ მუხლის:**

**დ.ა) მე-7 პუნქტით დამტკიცებული დანართი 6 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;**

**დ.ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„8. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის მეორე გვერდზე დატანილია შემდეგი ტექსტი:
„ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები:
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს

მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ. გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს (მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2).
ელექტრონული საჯარიმო ქვითრით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი.
საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით და $125^2$ მუხლის პირველი, მე-2, მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის 100 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $125^2$ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ამსახველი ფოტომასალის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.ttc.com.ge.
ცხელი ხაზი: (+995 32) 2 93-44-44.“;

**ე) $3^2$ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $3^3$ და $3^4$ მუხლები:**

**„მუხლი $3^3$. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი და მისი გამოწერა**

1. საჯარიმო ქვითარი იმავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს (დანართი 5), რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან:
ა) ნაწილი I. საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;
ბ) ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერისას გამოიყენება ამ წესის $3^1$ მუხლით დადგენილი დებულებები.

**მუხლი $3^4$. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შინაარსი და მისი გამოწერა**

1. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი წარმოადგენს საჯარიმო ქვითრის ფორმას, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.
2. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი არ არის მკაცრი აღრიცხვის ფორმა.
3. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ადგენს თანამშრომელი ელექტრონულად და იგი ფიქსირდება სამართალსუბიექტის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. ელექტრონულად დაფიქსირებული პერსონალური მონაცემები დაცული უნდა იქნეს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
4. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარში (დანართი 6) მონაცემები შეიტანება ამ წესის $3^2$ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, გარდა ამავე პუნქტის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებისა, რომლებიც არ ივსება.
5. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ხელს აწერს მისი შემვსები. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსებისას თანამშრომელი უფლებამოსილია იმოქმედოს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
6. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის გამოწერისას მობილური ელექტრონული მოწყობილობა (პადი) უკავშირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემას (Protocols), რომლის მეშვეობით ხორციელდება: დაფიქსირებული სამართალდარღვევის ფაქტზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის/ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის გამოწერა ან/და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა; საჯარიმო ქვითრის/სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის თაობაზე ინფორმაციის სამართალდამღვევ პირთან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გზავნილის გაგზავნამდე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გაგზავნა, თუ მონაცემთა ბაზაში არსებობს ამ პირის საკონტაქტო ინფორმაცია; საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული თანხის შეღავათით სარგებლობისა და გადახდის პროცესების მართვა; სამართალდამრღვევი პირისთვის საჯარიმო ქვითრის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გაგზავნისა და ჩაბარების პროცესის მართვა; საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების პროცესის მართვა; საჯარიმო ქვითრის ან/და საურავის კანონის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას საქმის გადაგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – აღსრულების ეროვნულ ბიუროში; სამართალდამრღვევის მიმართ ჯარიმისა ან/და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; საჯარიმო ქვითრის ან/და საურავის კანონის დადგენილ ვადაში გასაჩივრებისას გადაწყვეტილების მიღებამდე საჯარიმო ქვითრის აღსრულების მოქმედების შეჩერება.
7. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია თანამშრომელმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში (Protocols) საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გამოწეროს ელექტრონული ფორმით (მათ შორის როდესაც სამართალდამრღვევი უცხო ქვეყნის მოქალაქეა), დგება საჯარიმო ქვითარი -

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში, აისახება ზემოაღნიშნულ სისტემაში.

8. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) გამართულ ფუნქციონირებას და სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის შენახვას, სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო (ს/ნ 205339141).“;

**ვ) მე-6 მუხლის**

**ვ. ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. თანამშრომლისთვის საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების გაცემა ხორციელდება სამართალსუბიექტის პასუხისმგებელი პირის მიერ. საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 1252 მუხლით და 1353 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალში“ (შემდგომში – ჟურნალი) (დანართი 3).“;

**ვ.ბ) პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 3 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;**

**ზ) მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $7^1$ და $7^2$ მუხლები:**

**„მუხლი $7^1$. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას გამოწერილი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნება**

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას მოქმედებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $290^4$-$290^6$ მუხლები.

2. შესაბამისი საფუძვლების არსებობისას საჯარიმო ქვითარი საჯაროდ ქვეყნდება ოფიციალურ ვებგვერდზე www.tbilisi.gov.ge.

3. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tbilisi.gov.ge გამოქვეყნება ხდება ავტომატურად, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

4. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნება ხდება შემდეგი წესით: ოფიციალურ ვებგვერდზე www.tbilisi.gov.ge სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ ადგილზე თავსდება იმ სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის ნომრების სრული სია, რომლებიც მითითებულია შესაბამის საჯარიმო ქვითრებში – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებში/ელექტრონული საჯარიმო ქვითრებში.

5. ოფიციალურ ვებგვერდზე www.tbilisi.gov.ge საჯარიმო ქვითართან – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმთან/ელექტრონულ საჯარიმო ქვითართან ერთად ასევე თავსდება შესაბამისი ბმული, სადაც დადგენილი წესების დაცვით შესაძლებელია კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის ნახვა.
6. საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი/ელექტრონული საჯარიმო ქვითარი ოფიციალური ვებგვერდიდან www.tbilisi.gov.ge ავტომატურად წაიშლება მისი გამოქვეყნებიდან 90 კალენდარული დღის გასვლისთანავე, ხოლო ამ პერიოდის გასვლამდე ჯარიმის გადახდის შემთხვევაში საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი/ელექტრონული საჯარიმო ქვითარი ოფიციალური ვებგვერდიდან იშლება ჯარიმის გადახდის დადასტურებისთანავე.
7. შესაბამისი სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის შენახვის წესი და ვადები რეგულირდება სამართალსუბიექტის წარდგინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ.

**მუხლი $7^2$. დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის) აღსრულებისას შეღავათით სარგებლობა**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13, მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ელექტრონულ საჯარიმო ქვითრის) აღსრულებისას, მოქმედებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $290^5$ მუხლით დადგენილი წესი.“;

**თ) მე-11 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $11^1$ მუხლი:**

**„მუხლი $11^1$. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კამერა**

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე დაფიქსირებისას ადგილი აღჭურვილი უნდა იყოს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, $134^1$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კამერის გამაფრთხილებელი ნიშნით.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისათვის საჭირო კამერა განთავსებული და გამოყენებული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის,

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიით საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.“.

**მუხლი 2**

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ (ს/კ 202886788) ამ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო ქვითრების - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერის დაწყება უზრუნველყოს არაუგვიანეს 2022 წლის პირველი ნოემბრისა.

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 15 ოქტომბრიდან..

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

**ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

საქართველოს პარლამენტმა 2022 წლის 6 სექტემბრის N1719-IXმს-Xმპ საქართველოს კანონით ცვლილებები შეიტანა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომელიც 15 ოქტომბრიდან ამოქმედდება. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით კოდექსის 125-ე მუხლის: მე-8 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ჯარიმის ოდენობა განისაზღვრა 50 ლარი ნაცვლად 10 ლარისა; მე-12 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის დარიცხული საურავის ოდენობა - 200 ლარი ნაცვლად 100 ლარისა; მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ჯარიმის ოდენობა - 100 ლარი ნაცვლად 50 ლარისა, ხოლო დარიცხული საურავის ოდენობა - 200 ლარი ნაცვლად 100 ლარისა. რაც შეეხება $125^2$ მუხლს: პირველი და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის ჯარიმის ოდენობა განისაზღვრა 50 ლარი ნაცვლად 10 ლარისა; მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის - 100 ლარი ნაცვლად 50 ლარისა, ხოლო დარიცხული საურავის ოდენობა - 200 ლარი ნაცვლად 100 ლარისა; მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის - 200 ლარი ნაცვლად 50 ლარისა, ხოლო დარიცხული საურავის ოდენობა - 200 ლარი ნაცვლად 100 ლარისა. ამასთან, $125^2$ მუხლს დაემატა $5^1$ ნაწილი, რომლის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების ადგილზე მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული სახეობის სატრანსპორტო საშუალების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების დგომა გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო ამ შემთხვევაში საურავი განისაზღვრა 200 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

პროექტით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) გამართული ფუნქციონირება და სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის შენახვა, სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეთანხმებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოსთან (სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული

განვითარების სააგენტოს წერილი და საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს პასუხი ერთვის პროექტს).

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებული მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუში, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (სამინისტროს პასუხის ქსეროასლი ერთვის პროექტს).

**ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ე) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

დანართი №3

## საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალი

| № | გაცემის თარიღი | საჯარიმო ქვითრის ნომერი | საჯარიმო ქვითრის გამცემი | | | საჯარიმო ქვითრის მიმღები | | | საჯარიმო ქვითრის შემდგენელი | | | ასკ-ს მუხლი | დაბრუნებული (გაუქმებული) საჯარიმო ქვითარი | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სახელი | გვარი | ხელმო-წერა | სახელი | გვარი | ხელმოწერა | სახელი | გვარი | ხელმო-წერა | | დაბრუ-ნების თარიღი | საჯარიმო ქვითრის ნომერი | სახელი | გვარი | ხელმო-წერა | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |

დანართი №5

ნაწილი I

## საჯარიმო ქვითარი

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №სკ0000000 ბ. ა.

1 ________________________ 2. ________________________

შევსების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) — შევსების ადგილი

3. ________________________________________________

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

4. ________________________________________________

სამართალდამრღვევის პირადი ნომერი, სახელი და გვარი, მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა)

5. სატრანსპორტო საშუალების მარკა: ________________, ნომერი: ________________

6. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი: ________________________________,

დრო: ------, არსი: ________________________________________,

სატრანსპორტო საშუალების მდებარეობა: ________________________________

7. სასკ-ის ________________________________________________

8. ჯარიმის ოდენობა: ______ ლარი

9. სახაზინო კოდი:

300773239 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის შემთხვევაში);
300773552 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილის შემთხვევაში);
300773553 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილების შემთხვევაში);
300773556 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-15 ნაწილის შემთხვევაში);
300773557 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილის შემთხვევაში);
300773250 – სახაზინო კოდი (სასკ-ის $125^2$ მუხლის შემთხვევაში);
300773240 – სახაზინო კოდი (სასკ-ის $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილის შემთხვევაში).

10. ________________________________________________

მოწმის ან სხვა მონაწილე პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები

________________________________________________

(პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა)

11. სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება: ________________________

ახსნა-განმარტების რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა

________________________________________________

და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება

მოწმის ან სხვა მონაწილე პირის ხელმოწერა: ________________________

ხელმოწერა და სტატუსი

საჯარიმო ქვითრის შემდგენლის ხელმოწერა: ________________________

სამართალდამრღვევის ხელმოწერა: ________________________

ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან საჯარიმო ქვითრის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა

ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა

## №სკ0000000

ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში.

1. ________________________________

გადამხდელის სახელი და გვარი

2. ________________________________

გადამხდელის მისამართი

3. ________________________________

ჯარიმის ოდენობა

4. სასკ-ის ________ მუხლის ________ ნაწილი

5. სახაზინო კოდები:

300773239 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის შემთხვევაში);
300773552 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილის შემთხვევაში);
300773553 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილების შემთხვევაში);
300773556 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-15 ნაწილის შემთხვევაში);
300773557 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილის შემთხვევაში);
300773250 – სახაზინო კოდი (სასკ-ის $125^2$ მუხლის შემთხვევაში);
300773240 – სახაზინო კოდი (სასკ-ის $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილის შემთხვევაში).

6. მიმღები მოლარე: ________________________

ხელმოწერა

7. შემომტანი: ________________________

ხელმოწერა

ბ. ა.

თარიღი: ______/____________/________ წელი

საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის მიხედვით აქვს შემდეგი უფლებები და მოვალეობები: გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება მისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან). გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს (მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2).
საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებითა და $125^2$ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, $5^1$ და მე-6 ნაწილებით, $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ჯარიმის ორმაგი ოდენობით, $125^2$ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 200 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ამსახველი ფოტომასალის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.ttc.com.ge.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773239.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773552.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილების საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773553.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-15 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773556.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773557.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $125^2$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773250.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773240.

საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნომერი.

**ცხელი ხაზი: (+995 32) 2 93-44-44**

**დამკვეთი:** **დამამზადებელი:**
**მისამართი:** **სემეკ-ს რეგისტრაციის N**

დანართი №6

# ელექტრონული საჯარიმო ქვითარი

**№ სკ0000000**

| |
|---|
| 1. შევსების:<br>თარიღი<br>დრო |
| 2.სამართალდარღვევის<br>თარიღი:<br>დრო: |
| 3. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი: |
| 4. შემვსების<br>თანამდებობა:<br>სახელი:<br>გვარი: |
| 5. სატრანსპორტო საშუალების<br>მარკა:<br>ნომერი: |
| 6. სამართალდამრღვევის<br>სახელი:<br>გვარი:<br>პირადი №:<br>მისამართი: |
| 7. არსი: |
| 8. პასუხისმგებლობა: |
| 9. სატრანსპორტო საშუალების მდებარეობა: |
| 10. ჯარიმის ოდენობა: |
| 11. სახაზინო კოდი<br>სასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის შემთხვევაში: 300773239<br>სასკ-ის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილის შემთხვევაში: 300773552<br>სასკ-ის 125-ე მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილების შემთხვევაში: 300773553<br>სასკ-ის 125-ე მუხლის მე-15 ნაწილის შემთხვევაში: 300773556<br>სასკ-ის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილის შემთხვევაში: 300773557<br>სასკ-ის $125^2$ მუხლის შემთხვევაში: 300773250<br>სასკ-ის $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილის შემთხვევაში: 300773240 |
| 12. მოწმე ან სხვა მონაწილე პირი<br>სტატუსი:<br>სახელი:<br>გვარი:<br>ხელმოწერა: |
| 13. სამართალდამრღვევის ხელმოწერა |
| 14. შემვსების ხელმოწერა |
| 15. შენიშვნა |

# ელექტრონული საჯარიმო ქვითრის მეორე გვერდი

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები:
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ. გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს (მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2).
ელექტრონული საჯარიმო ქვითრით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი.
საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებითა და $125^2$ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, $5^1$ და მე-6 ნაწილებით, $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ჯარიმის ორმაგი ოდენობით, $125^2$ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 200 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ამსახველი ფოტომასალის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.ttc.com.ge.
ცხელი ხაზი: (+995 32) 2 93-44-44.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

tbilisi.gov.ge ცხელი ხაზი - (+995 32) 2722222

ნომერი: 04-01222783285-16
თარიღი: 05.10.2022 18:05
ვადა: 07.11.2022

## განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
მისამართი: ქ. ქუთაისი
განცხადების N: 1235911 განცხადების თარიღი: 05.10.2022
ხელმომწერი: თანამდებობა:

---

## განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
პასუხი

---

## მოთხოვნის ტექსტი

დოკუმენტის ენობრივი სისწორის შესახებ

---

## დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
№ 04-01222783285-16
05.10.2022 : 18:05
ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 1 22 0001235911

ხელმოწერილია ელექტრონულად

05/10/2022

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსს,
ბატონ ვიქტორ წილოსანს

ბატონო ვიქტორ,
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში თქვენი N16-0122277422 (04.10.2022) წერილით (სამინისტროში რეგისტრაციის N1218216; 04.10.2022) ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შესათანხმებლად განმეორებით შემოვიდა „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის“ (დანართი N5) ფორმის ნიმუში.

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განხილულ იქნა ზემოაღნიშნული დოკუმენტის ფორმის ნიმუში და მის ენობრივ სისწორესთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

დანართი: 2 ფურცელი
პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
მიცკევიჩი ნუნუ

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

დანართი №5

**ნაწილი I**

## საჯარიმო ქვითარი

### ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №სკ0000000 ბ. ა.

1 ____ 2. ____

შევსების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) შევსების ადგილი

3. ____

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

4. ____

სამართალდამრღვევის პირადი ნომერი, სახელი და გვარი, მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა)

5. სატრანსპორტო საშუალების მარკა: ____, ნომერი: ____

6. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი: ____,

დრო: ------, არსი: ____,

სატრანსპორტო საშუალების მდებარეობა: ____

7. სასკ-ის ____

8. ჯარიმის ოდენობა: ____ ლარი

9. სახაზინო კოდი:

300773239 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის შემთხვევაში);
300773552 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილის შემთხვევაში);
300773553 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილების შემთხვევაში);
300773556 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-15 ნაწილის შემთხვევაში);
300773557 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილის შემთხვევაში);
300773250 – სახაზინო კოდი (სასკ-ის $125^{2}$ მუხლის შემთხვევაში);
300773240 – სახაზინო კოდი (სასკ-ის $135^{3}$ მუხლის მე-2 ნაწილის შემთხვევაში).

10. ____

მოწმის ან სხვა მონაწილე პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები

____

(პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა)

11. სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება: ____

ახსნა-განმარტების რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა

____

და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება

მოწმის ან სხვა მონაწილე პირის ხელმოწერა: ____

ხელმოწერა და სტატუსი

საჯარიმო ქვითრის შემდგენლის ხელმოწერა: ____

სამართალდამრღვევის ხელმოწერა: ____

ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან საჯარიმო ქვითრის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა

**ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა**

### №სკ0000000

ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში.

1. ____

გადამხდელის სახელი და გვარი

2. ____

გადამხდელის მისამართი

3. ____

ჯარიმის ოდენობა

4. სასკ-ის ____ მუხლის ____ ნაწილი

5. სახაზინო კოდები:

300773239 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის შემთხვევაში);
300773552 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილის შემთხვევაში);
300773553 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილების შემთხვევაში);
300773556 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-15 ნაწილის შემთხვევაში);
300773557 – სახაზინო კოდი (სასკ-ის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილის შემთხვევაში);
300773250 – სახაზინო კოდი (სასკ-ის $125^{2}$ მუხლის შემთხვევაში);
300773240 – სახაზინო კოდი (სასკ-ის $135^{3}$ მუხლის მე-2 ნაწილის შემთხვევაში).

6. მიმღები მოლარე: ____

ხელმოწერა

7. შემომტანი: ____

ხელმოწერა

ბ. ა.

თარიღი: ____/____/____ წელი

საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის მიხედვით აქვს შემდეგი უფლებები და მოვალეობები: გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება მისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან). გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს (მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2).
საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებითა და $125^2$ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, $5^1$ და მე-6 ნაწილებით, $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ჯარიმის ორმაგი ოდენობით, $125^2$ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 200 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ამსახველი ფოტომასალის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.ttc.com.ge.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773239.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773552.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილების საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773553.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-15 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773556.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773557.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $125^2$ მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773250.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300773240.

საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნომერი.

**ცხელი ხაზი: (+995 32) 2 93-44-44**

| | |
|---|---|
| **დამკვეთი:** | **დამამზადებელი:** |
| **მისამართი:** | **სემეკ-ს რეგისტრაციის N** |

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: **16-0122273631**
თარიღი: **30/09/2022**

**ადრესატი:** სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური


სსიპ საქართველოს ოპერატიულ - ტექნიკური

სააგენტოს უფროსს ბატონ კობა კობიძეს

ბატონო კობა,

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულის პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას", მოსაზრებების და წინადადებების წარმოდგენის მიზნით, გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" (თან ერთვის), რომლის მე-2 მუხლის შესაბამისად შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ" (ს/კ 202886788) ამ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო ქვითრების - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერის დაწყება უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2022 წლის პირველი ნოემბრისა.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" 2022 წლის 16 სექტემბრის №01/7103 საპასუხო წერილში (თან ერთვის) აღნიშნულია შემდეგი: „რაც შეეხება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის" დადგენილების პროექტით განსაზღვრული საჯარიმო ქვითრების - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერის დაწყების დავალებას არაუგვიანეს 2022 წლის პირველი ნოემბრისა, მოგახსენებთ, რომ კომპანია დამოკიდებულია სერვისის უზრუნველმყოფი სუბიექტის მიერ სათანადო ტექნიკური სამუშაოების განხორციელებაზე, შესაბამისად, ამ ეტაპზე მოკლებული ვართ შესაძლებლობას განვსაზღვროთ აღნიშნული დავალების შესრულების ზუსტი თარიღი.".

გთხოვთ თქვენს პოზიციას შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ზემოაღნიშნულ წერილში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: 10 ფურცელი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01222522072**
თარიღი: **09/09/2022**

**ადრესატი:** შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“

გენერალურ დირექტორს ბატონ გიორგი შარკოვს

ბატონო გიორგი,

გიგზავნით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

ამასთან, გაცნობებთ, რომ თქვენი მხრიდან შესავსებია პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დამატებული $3^3$ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული და $3^4$ მუხლის $4^1$ პუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ფორმები, აგრეთვე პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დამატებულ $7^1$ მუხლში მისათითებელია სამართალსუბიექტის ოფიციალური ვებგვერდის მონაცემი, რომელზეც საჯაროდ გამოქვეყნდება საჯარიმო ქვითარი.

გთხოვთ თქვენს მოსაზრებებს და წინადადებებს ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის პროექტის მიმართ.

დანართი: 8 ფურცელი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №-----

**2022 წლის ---- ------------------------**

**ქ. თბილისი**

**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 03/04/2018, სარეგისტრაციო კოდი: 020080000.35.101.016500) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების:

**ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $290^4$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“;

**ბ) პირველი და მე-2 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
**„მუხლი 1.**

მიენიჭოს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ (ს/კ 202886788):
ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების უფლებამოსილება;
ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერის უფლებამოსილება.

**მუხლი 2.**

დამტკიცდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების თანდართული წესი.“.

2. დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის:

**ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესი.“.

**ბ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ეს წესი, მოქმედი სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით, განსაზღვრავს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) (შემდგომში – სამართალსუბიექტი) მიერ შესავსები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13, მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის სამართლებრივ მექანიზმებს.“;

**გ) $3^2$ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $3^3$ და $3^4$ მუხლები:**

**„მუხლი $3^3$. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი და მისი გამოწერა**

1. საჯარიმო ქვითარი იმავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს (დანართი ---), რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან:
ა) ნაწილი I. საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;
ბ) ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერისას გამოიყენება ამ წესის $3^1$ მუხლით დადგენილი დებულებები.

**მუხლი $3^4$. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შინაარსი და მისი გამოწერა**

1. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი წარმოადგენს საჯარიმო ქვითრის ფორმას, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.
2. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი არ არის მკაცრი აღრიცხვის ფორმა.
3. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ადგენს თანამშრომელი ელექტრონულად და იგი ფიქსირდება სამართალსუბიექტის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. ელექტრონულად დაფიქსირებული პერსონალური მონაცემები დაცული უნდა იქნეს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
4. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარში (დანართი ---) მონაცემები შეიტანება ამ წესის $3^2$ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, გარდა ამავე პუნქტის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებისა, რომლებიც არ ივსება.
5. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ხელს აწერს მისი შემვსები. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსებისას თანამშრომელი უფლებამოსილია იმოქმედოს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
6. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის გამოწერისას მობილური ელექტრონული მოწყობილობა (პადი) უკავშირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა

და მართვის სისტემას (Protocols), რომლის მეშვეობით ხორციელდება: დაფიქსირებული სამართალდარღვევის ფაქტზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის/ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის გამოწერა ან/და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა; საჯარიმო ქვითრის/სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის თაობაზე ინფორმაციის სამართალდამღვევ პირთან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გზავნილის გაგზავნამდე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გაგზავნა, თუ მონაცემთა ბაზაში არსებობს ამ პირის საკონტაქტო ინფორმაცია; საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული თანხის შეღავათით სარგებლობისა და გადახდის პროცესების მართვა; სამართალდამრღვევი პირისთვის საჯარიმო ქვითრის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გაგზავნისა და ჩაბარების პროცესის მართვა; საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების პროცესის მართვა; საჯარიმო ქვითრის ან/და საურავის კანონის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას საქმის გადაგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – აღსრულების ეროვნულ ბიუროში; სამართალდამრღვევის მიმართ ჯარიმისა ან/და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; საჯარიმო ქვითრის ან/და საურავის კანონის დადგენილ ვადაში გასაჩივრებისას გადაწყვეტილების მიღებამდე საჯარიმო ქვითრის აღსრულების მოქმედების შეჩერება.

7. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია თანამშრომელმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში (Protocols) საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გამოწეროს ელექტრონული ფორმით (მათ შორის როდესაც სამართალდამრღვევი უცხო ქვეყნის მოქალაქეა), დგება საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში, აისახება ზემოაღნიშნულ სისტემაში.

8. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) გამართულ ფუნქციონირებას და სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის შენახვას, სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო (ს/ნ 205339141).“;

**დ) მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $7^1$ და $7^2$ მუხლები:**

**„მუხლი $7^1$. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას გამოწერილი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნება**

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას მოქმედებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $290^4$-$290^6$ მუხლები.

2. შესაბამისი საფუძვლების არსებობისას საჯარიმო ქვითარი საჯაროდ ქვეყნდება სამართალსუბიექტის ოფიციალურ ვებგვერდზე --------------------------.

3. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის სამართალსუბიექტის ოფიციალურ ვებგვერდზე ------------------------ გამოქვეყნება ხდება ავტომატურად, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.
4. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნება ხდება შემდეგი წესით: სამართალსუბიექტის ოფიციალურ ვებგვერდზე ------------------------ სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ ადგილზე თავსდება იმ სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის ნომრების სრული სია, რომლებიც მითითებულია შესაბამის საჯარიმო ქვითრებში – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებში/ელექტრონული საჯარიმო ქვითრებში.

5. სამართალსუბიექტის ოფიციალურ ვებგვერდზე ------------------------ საჯარიმო ქვითართან – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმთან/ელექტრონულ საჯარიმო ქვითართან ერთად ასევე თავსდება შესაბამისი ბმული, სადაც დადგენილი წესების დაცვით შესაძლებელია კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის ნახვა.

6. საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი/ელექტრონული საჯარიმო ქვითარი სამართალსუბიექტის ოფიციალური ვებგვერდიდან ------------------------ ავტომატურად წაიშლება მისი გამოქვეყნებიდან 90 კალენდარული დღის გასვლისთანავე, ხოლო ამ პერიოდის გასვლამდე ჯარიმის გადახდის შემთხვევაში საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი/ელექტრონული საჯარიმო ქვითარი ოფიციალური ვებგვერდიდან იშლება ჯარიმის გადახდის დადასტურებისთანავე.

7. შესაბამისი სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის შენახვის წესი და ვადები რეგულირდება სამართალსუბიექტის წარდგინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ.

**მუხლი 7². დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის) აღსრულებისას შეღავათით სარგებლობა**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13, მე-15 ნაწილებით, 125² მუხლით და 135³ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ელექტრონულ საჯარიმო ქვითრის) აღსრულებისას, მოქმედებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290⁵ მუხლით დადგენილი წესი.“;

**ე) მე-11 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11¹ მუხლი:**

**„მუხლი 11¹. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კამერა**

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე დაფიქსირებისას ადგილი აღჭურვილი უნდა იყოს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125² მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134¹ მუხლით, 135-ე-135⁵ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125²

მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კამერის გამაფრთხილებელი ნიშნით.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისათვის საჭირო კამერა განთავსებული და გამოყენებული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიით საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.“.

**მუხლი 2**

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ (ს/კ 202886788) ამ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო ქვითრების - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერის დაწყება უზრუნველყოს არაუგვიანეს 2022 წლის პირველი ნოემბრისა.

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2020 წლის 17 ივლისის №7059-რს კანონით შევიდა ცვლილება და იმის გათვალისწინებით, რომ ჯარიმების აღსრულების მოქმედი მექანიზმი არ იყო ეფექტური და შესაბამისად პრობლემატური იყო, მათ გადასაჭრელად საჯარიმო ქვითრის/დადგენილების ჩაბარების წესის დახვეწის მიზნით, კოდექსს დაემატა $290^4$-$290^6$ მუხლები, რომელთა მიხედვით გაიწერა: უფლებამოსილი პირის მიერ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება და მისი აღსრულება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას, შესაბამისი საჯარიმო ქვითრის ჩაუბარებლობისას მისი განთავსება თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილ ელექტრონულ მისამართზე და ამ ინფორმაციის განთავსების შემდეგ გამოქვეყნებული საჯარიმო ქვითრის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამართალდამრღვევზე ჩაბარებულად ჩათვლა, ასევე დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის) აღსრულებისას შეღავათით სარგებლობის წესი.

შესაბამისად დღის წესრიგში დადგა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა, რის გამოც შემუშავდა წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ითვალისწინებს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის" დამატებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერის უფლებამოსილების მინიჭებას და მისგან გამომდინარე საჭირო პროცედურების განხორციელებას.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ე) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ
TBILISI TRANSPORT COMPANY

N 01/7103
16/09/2022

7103-01-2-202209161615

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს**

**ბატონო ვიქტორ,**

თქვენი 2022 წლის 9 სექტემბრის №16-01222522072 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ განიხილა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125 $^{2}$ მუხლით და 135$^{3}$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი („შემდგომში - დადგენილების პროექტი“) და ეთანხმება მის შინაარსს. ამასთან, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საჯარიმო ქვითრების საჯაროდ გამოქვეყნება განხორციელდეს ოფიციალურ ვებგვერდზე www.tbilisi.gov.ge .

რაც შეეხება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ დადგენილების პროექტით განსაზღვრული საჯარიმო ქვითრების - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერის დაწყების დავალებას არაუგვიანეს 2022 წლის პირველი ნოემბრისა, მოგახსენებთ, რომ კომპანია დამოკიდებულია სერვისის უზრუნველმყოფი სუბიექტის მიერ სათანადო ტექნიკური სამუშაოების განხორციელებაზე, შესაბამისად, ამ ეტაპზე მოკლებული ვართ შესაძლებლობას განვსაზღვროთ აღნიშნული დავალების შესრულების ზუსტი თარიღი.

**დანართი:** საჯარიმო ქვითრების - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების პროექტები.

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი

ვაგზლის მოედანი #2, 0112 თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 235 77 77; ფაქსი: (995 32) 293 41 41
ს/ნ 202886788; www.ttc.com.ge

#2 Vagzali Square, 0112 Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 235 77 77; Fax: (995 32) 293 41 41
I/N 202886788; www.ttc.com.ge

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
tbilisi.gov.ge **ცხელი ხაზი - (+995 32) 2722222**

ნომერი: 06-012228045-16
თარიღი: 07.10.2022 09:05
ვადა: 07.11.2022

## განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო
მისამართი:
განცხადების N: 187659 განცხადების თარიღი: 06.10.2022
ხელმომწერი: თანამდებობა:

## განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
პასუხი

## მოთხოვნის ტექსტი

პასუხი: საკრებულოს დადგენილების პროექტზე პოზიცია

## დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
№ 06-012228045-16
07.10.2022 : 09:05
ქ. თბილისი, ტ.შარტავას ქ. N7

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA
LEPL OPERATIVE-TECHNICAL AGENCY OF GEORGIA

SSG 7 22 00187659

06/10/2022

სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს
უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

**ბატონო ვიქტორ,**

თქვენი მომართვის (წერილის ნომერი: 16-0122273631 თარიღი: 30.09.2022) პასუხად გაცნობებთ, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის შექმნილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის მობილური აპლიკაცია და ვებ სისტემა. სისტემა ტესტირებისათვის მზად არის და მიმდინარე წლის 5 ოქტემბერს, სამუშაოების დასრულების შესახებ ცნობილი გახდა თბილისის სატრანსპორტო კომპანიის შე საბამისი უფლებამოსილი პირებისათვის. შესაბამისად, დღეიდან დაიწყო დანერგვის ეტაპი, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებს როგორც თბილისის სატრანსპორტო კომპანიის, ასევე სსიპ-საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს თანამშრომლები. ოქმების გამოწერის დაწყების დრო დამოკიდებულია ტესტირების პროცესზე და სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო მოკლებული ვართ შესაძლებლობას განვსაზღვროთ ზუსტი თარიღი.

**პატივისცემით,**

სსიპ-საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს
ინფორმაციული ტექნოლოგიების მთავარი სამმართველოს უფროსი

**ეკატერინე ამბოკაძე**

საქართველო, ქ. თბილისი 0186, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N21გ
ტელ.: (+995 32) 2410707
21g, Petre Kavtaradze street, Tbilisi 0186, Georgia
Tel. (+995 32) 2410707, ota@ssg.gov.ge



პროექტი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# დადგენილება №

**2022 წლის --- ------------------ ქ. თბილისი**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.101.016086) და დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ$^{2}$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ$^{2}$) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებს;“.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის**

**განმარტებითი ბარათი**

**ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ$^2$“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიცემული აქვთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს თანამშრომლებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს მიმართა 2022 წლის 22 სექტემბრის №17-01222652369 მოხსენებითი ბარათით, სადაც აღნიშნულია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალური ინსპექციის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით ახორციელებს თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის იერსახის, რეკლამის, აზრის, გარევაჭრობის, ნარჩენებით ქალაქის დანაგვიანების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, აკუსტიკური ხმაურისა და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებაზე ინსპექტირებას. მუნიციპალური ინსპექციის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე ინსპექტირების განხორციელების, დარღვევათა გამოვლენის და კანონმდებლობის შესაბამისად მათზე რეაგირების, დარღვევათა თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით ინსპექციის საამისოდ უფლებამოსილი თანამშრომლები გადაადგილდებიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“. მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ითხოვს მხარდაჭერას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარსადგენად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადებას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ$^2$“ ქვეპუნქტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების

ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიეცემათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოხსენებით ბარათში ასევე აღნიშნულია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი უზრუნველყოფს №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კატეგორიების პირების მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, არანაკლებ 3 თვეში ერთხელ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულ(ებ)ისთვის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სუბიექტ(ებ)ისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, როგორც ამას ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის და $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილების მე-5 მუხლი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედებისთვის საჭირო მუნიციპალიტეტის 2022 წლის საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საკუთარი შემოსავლებიდან.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ე) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# დადგენილება №

2022 წლის --- ----------------- ქ. თბილისი

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის და $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის და $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი–ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 27/03/2015, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016136) და დადგენილების მე-5 მუხლის „$ვ^2$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$ვ^2$) პირველი პუნქტის „$ლ^2$“ ქვეპუნქტით დადგენილი კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გენერალურ დირექტორს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსს;“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის და $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის**

**განმარტებითი ბარათი**

**ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში- პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ$^2$“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიცემული აქვთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს თანამშრომლებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს მიმართა 2022 წლის 22 სექტემბრის №17-01222652369 მოხსენებითი ბარათით, სადაც აღნიშნულია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალური ინსპექციის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით ახორციელებს თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის იერსახის, რეკლამის, აზრის, გარევაჭრობის, ნარჩენებით ქალაქის დანაგვიანების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, აკუსტიკური ხმაურისა და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებაზე ინსპექტირებას. მუნიციპალური ინსპექციის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე ინსპექტირების განხორციელების, დარღვევათა გამოვლენის და კანონმდებლობის შესაბამისად მათზე რეაგირების, დარღვევათა თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით ინსპექციის საამისოდ უფლებამოსილი თანამშრომლები გადაადგილდებიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“. მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ითხოვს მხარდაჭერას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარსადგენად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადებას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ$^2$“ ქვეპუნქტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების

ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიეცემათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოხსენებით ბარათში ასევე აღნიშნულია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი უზრუნველყოფს №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კატეგორიების პირების მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, არანაკლებ 3 თვეში ერთხელ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულ(ებ)ისთვის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სუბიექტ(ებ)ისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, როგორც ამას ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის და $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილების მე-5 მუხლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

**ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი სახსრების გათვალისწინება.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ე) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
# მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი:**17-01222652369**
თარიღი: **22/09/2022**

**ადრესატი:**

კახა კალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ კახა კალაძეს,

ბატონო კახა,

როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალური ინსპექციის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით ახორციელებს თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის იერსახის, რეკლამის, აბრის, გარევაჭრობის, ნარჩენებით ქალაქის დანაგვიანების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, აკუსტიკური ხმაურისა და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებაზე ინსპექტირებას.

მუნიციპალური ინსპექციის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე ინსპექტირების განხორციელების, დარღვევათა გამოვლენის და კანონმდებლობის შესაბამისად მათზე რეაგირების, დარღვევათა თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით ინსპექციის საამისოდ უფლებამოსილი თანამშრომლები გადაადგილდებიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“.

გთხოვთ დაგვიჭიროთ მხარი და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარსადგენად მოამზადოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში (შემდგომში - №20-81 დადგენილება) ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ$^2$“ ქვეპუნქტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიეცემათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

ამასთან, აღვნიშნავ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი უზრუნველყოფს №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კატეგორიების პირების მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, არანაკლებ 3 თვეში ერთხელ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულ(ებ)ისთვის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობის მიერ უფლებამოსილი სუბიექტ(ებ)ისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფას, როგორც ამას ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის და $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილების მე-5 მუხლი.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

ლაშა მაჭავარიანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი)